

572
1984

572

78



№ 1 0563560 1984Թ.

ԲՆԱԿ

შვიროზა უნს პოჭრისუნუნს

მამაშაშა მამაშაშაშაშა

მშვიროზა უნს მოპობანებს,
ხევეტ პირნათლად ლაგებულბოტო,
გულონად,
სტუმრიანად,
სწავლა-გარჯით,
კარგი ბედით,
ხოზა ვნებებს თავის დობებ,
გოზინაუი თავლის გულოდით,
ლაგულოტე და ლილოტე
აჲ ტაბილად ლაგებინგრო.

საასარრო ასხეარა

ჯანსულ ჩარავინანი

გამოლი, გოგო კაცლა,
გამოლდ, ბიგო სრდამონ,
რამლენი თფირი პეველა
მოლორინავს ლღერჯი ციდანო.
ასხბული ვასაქერუბელი,
ვით ყელსაბამი—ზინათი,
დავხატე თოვლი პირიგელი
და ჩემს ღდღიკოს მივართვი.

მკურის თოვლის ჭაჭუა

აიგი აივინაი

ვარპარალე—პაროლე
ვაშა, წელი ახალი
მოხველ, შენ გენსკალე,
რომ სიკეთე გეხსარო—
მღერის თოვლის ჭაჭუა
და თან საბე უცინისა
წუტაჲ ციგით ია მოტესე
თა და, ვერლო ხუოჯინი,
შეგ როს ჩირი ვაწლი და
თბილი ნაბუქები
ჩვენთან გამოატანა!
წუხელ თოვლის მგებამ

ჩვენი ნაქვის ხე



წილის სწავრაჯი

ამაჲლი ამიგაშაშაშა

— ბატატუ კატატუ—ჩიტუნენი
ნისკარტს სტეშენ დანჯარის მინას,
აწრიოლდენე ბიკუნებო:
— როგორ ცივა როგორ ყინავს!
— კატატუ, კატატუ ეს ჩენვა ვართ...
— ამათ ზებე, მო მივინათ,
აბუხულან, რამით ხმა
დლილ ნიავს შორს, შორს მიავტეს.
ნამტელო ვხვნილით უმასინძლეს...
დაამირეს წასელა როცა,
თქვეს:—ახალი წლის დადგომას
მობელოცავთ... მოგილოცავთ

ნაქვი

მამაშა პაჩიჲ

ვის რა ხე უყვარს, არ ვიცი,
აბა რა ვითხოვთ სხვისა,
მიყვარს აჲ ქვეყნად ყველა ხე,
ბლისს! თუთისს! მსხლისს!
მაგრამ როგორც კი ჩამოვსოც
ეთოვლი წუთებს და წანებს,
როდის შემოვივ ჩემს სახლში
ნაქვის ხე—მამად წყნად
ტურფა, გულუხვად, თვირფასი,
ყველასთვის მოსაპაძი
ბებისავეთი ყველათ
ჩემი ღამაში ნაქვი

ამასარ როს

თირა მამაშაშაშა

ყველა სოფელს კომლს ვუსურებ,
ყველა ოჯახს—ჩილსა,
ტყეს—სისპირეს, ყანებს—შორალს,
ბაღებს—ნაყოფს ტაბილსა,
ჩემს—ღებებს მშენიერებას,
ღას—ბიკობას ძინას,
მამას რკინის მკლავს და მუხლებს,
ღდღებს—ღდღებს მზისა.

ზაგვეგო, თურნად ყდობის სახალწლო
ნაქვის ხეს ბებენი საყვარელი პოეტები ესტუ
რჩენ და ნოზათად თავდათო ღდღესუნი მ
გარბეს.





ქარი რომ უბეკავდა და თან თოვლის ფიფქები მოჰქონდა

რეზაზ ნინაიშვილი

მხატვარი ელზარდ აგოკაძე

ახლა მე თვითონა ვარ პაპა. მაშინ კი, რომელი საღამოც სევდიან სურათად მიდგას თვალწინ, პატარა ვიყავი. ქარი უბერავდა, თან თოვლის ფიფქები მოჰქონდა, გაჩქარებული აყრიდა ფანჯარას; მე და ჩემი ბიძაშვილები ვისხედით ტახტზე, პაპა თლიდა ხის კოვზს და თან გვიყვებოდა თავისი ობლობის ამბავს. მოუყვით თქვენი წინაპრების ობლობის ამბებიც თქვენს შვილებს, შვილიშვილებს!

— დედაც რომ მოგვიკვდა, — მშვიდად ამბობდა პაპა, — მე ვიყავი რვა წლისა, ჩემი პატარა და, ნინო, ოთხი წლის. შეშინებული დიდი თვალები ჰქონდა, პატარა პირი — კიდევ სულ ღია, შოშიას ბარტყივით. გაფარჩხული ხელები სულ ჩემსკენ ჰქონდა გამოწვდილი.

დედაჩემის დამარხვის მესამე დღეს მოგვხვია უფროსმა, გათხოვილმა დამ ხელი, მიგვიხუტა და (ჩრემლების ღაპალუპით წაგვიყვანა თავისთან. ვიყავით იქ, იმათ მიწურში. მაშინ უმეტესობას მიწურები გვქონდა. მარტო წინ იყო მთლიანი კედელი. იმ კედელში — ცალფერით კარი და ერთი სანათური. დანარჩენი — სანახევროდ მიწაში! დანჯარეული ღუმელი კი გვედგა. იქიდან კვამ-

ლი მაღლა ადიოდა, ბანზე, ბანიდან — ცაში.

მე და ნინო სულ ერთად დავდიოდით, ერთადვე გვეძინა. ჩამიყოფდა თმაში ხელს, თან მიფაჩუნებდა, თან ეძინა. თითქოს ძილშიც კი ეშინოდა, არ გავპაროდი.

ჩემი დის ქმარი, უბირი, უბირობით თვალბდაჭყეტილი, სხვა სოფლებში დაიარებოდა დღიურ სამუშაოზე ბართი. წავიდოდა და დაიკარგებოდა. ჩვენ იმის წასვლა გვიხაროდა. დავგსსამადა დარო, გვიყვებოდა ზღაპრებს და გვეფერებოდა. რომ გვეფერებოდა, თან ცრემლი ჩამოსდიოდა. მე ვბრაზობდი იმის ცრემლებზე, თავი უკვე დიდი მეგონა, ის კი ისევ — გვიკერებდა დაძონძილ ტანსაცმელს, და ნემსსაც ცრემლს მიაყოლებდა. გაგვიკეთებდა ღარიბების შეჭამანდა, სიმინდის ფაფას ან ლობიოს, დავვისსამადა, გვაჭმევდა, თვითონ კიდევ — გვიყურებდა.

მობრუნდა ერთხელ იმისი ქმარი სამუშაოდან, კიდევ უფრო შავი, თვალებდაჭყეტილი. რაღაცნაირად ფინათად მოეგრიხა სახე, დააგლო გუდა, მიჯდა ცეცხლთან, დაუნყო გინება ცასა და მიწას. ქარი უბერავდა, ციოდა, თოვლის ფიფქები მოჰქონდა. იჯდა, აწვალბდა ცეცხლს, იგინებოდა. დარო ენე-

დებოდა ხელეშში, — რა იყო, კაცო, რა დაგემართაო. — ჭირი და ჯანდაბა ჩემი თავის-თავისაო. მე და ნინო თითქმის ვეღარ ვსუნთქავდით, აღარ ვიცოდით სად გაგჩერებულყავით. გავაღეთ კარი, გავკვიდით გარეთ. იქიდან სადღა წავსულიყავით? ცივი ქარი მოზუზუნებს, ცივ ფიფქებს გვაყრის. ვიდექით ფარდალაბა დერეფანში ერთმანეთს მიკრულნი და იქ გავიცოინეთ, დაროს უყვიროდა ქმარი:

— სახლი წელიც ეგერ უნდა დამაკვებო, არა?! ჩემი არაფერი მყავდეს და სხვისი შვილები უნდა დამაკვებო, არა?!

გამოვიდა დარო, ტირილით მოგვხვია ხელი, წამოგვადარა დედაჩვენის ნაქონი ძველი შალი და წამოვედით იმ შალქვეშ მოკუნტულები ჩვენს სახლში, ჩვენს ცივს და უპატრონო მიწურში. ძლივსძლივსობით დაგანთეთ ცეცხლი. — ნუ გეშინიათ, გენაცვალეთო, — გვეუბნებოდა აცახცახებული დარო, — ნუ გეშინიათ, თქვენ შემოგველეთო, სხვის სახლსა და დაყვედრებულ ლუქმას თქვენი სახლი გერჩივითო. გავგიკეთა ხავინი, ფაფასავით იყო, ოღონდ წმინდა ფქვილისა, დაგიდგა, გვაჭამა. ვახშმისთვისაც დაგვიტოვა ნახევარი, — მე სულ თქვენთან ვიქნები, თქვენ დაგენაცვლით, წავალ და ისევ მალე მოვალ, მი სულ თქვენთან ვიქნებიო. მე, ხომ ვთქვი, დიდად ვგრძნობდი თავს, მაინც ცრემლს ძლივს ვიკავებდი და ისევებუნებოდი: — წადი, დო. მე ვაუკუთებ ყველაფერს ნინოს, მე ვაჭმევ, მე დავაძინებ. შენ ნურაფრისა შეგეშინდება, შენ წადი, დაომეთქი. — იტირა დარომ, დაგვკოცნა, ჩავკიხუტა. — კარი დაუკეტავი არ დაგჩრეთო, მოიკუნტა დედაჩემის შალში და წავიდა დაღუღული იმ ქარში.

დავჩრით მთლად მარტონი. მე, როგორც გითხარით, რვა წლისა, ნინო ოთხისა. ჩაკეცილ ურდულით კარი. მივედი სანათურთან; მოვიდა ნინოც. ავიყვანე, დავისვი წინ და ეგრე ვიყურებოდით გარეთ. გარეთ ბნელობა, ქარი ძლიერდება, უფრო ხშირად მოაქვს ფიფქები....

დედა რომ ცოცხალი იყო, ძროხაც გვყავდა, ღორიც, ქათმებიც. ძროხა დედის დამარხვაზე დაკლეს. ქათმები და ღორი დარომ ნაიყვანა, მე მოვუვლიო. კატა გვყავდა ერთი, კატაც აღარ დაგვხვდა შინ, ისიც სადღაც სხვაგან წასულიყო, თავგებიც კი წასულიყვენ ჩვენი სახლიდან. ვისხედით მე და ნინო და ყურს ვუჭედებდით ქარს. მაშინ ჩვენს სოფელში აქა-იქ იდგა ხეები, წასული იყო აქსე სულ ბანები, და იმ ბანებზე სწენავდა ქარი კვამლებს. — ვუუ-უუ!.. ისმოდა საკვამურიდან. მეკვრის შეშინებული ნინო და მიკითხება, — დედა სულ, სულ წავიდა

და აღარასოდეს აღარ მოვო? — მოვა, გენაცვალე, მოვა-მეთქი. — როდის მოვო? — ერთ ღამე ღამეს. — როდის იქნება ეტლამაზი ღამე? — მალე, მალე, — დარო? დაროც მალე მოვა? — დაროც მოვა. შენ ნურაფრისა გეშინია. მე ხანჯალი მაქვს. — წავედი, გამოვივდი განჯინდან ხანჯალი, ვენვალე, ამოვამრე ქარქაშიდან და ვაჩვენე. — დავიდებთ ამ ხანჯალს თავით და ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს, აქვს ვატაკებ პირდაპირ. ნინოს იმ ხანჯლისა უფრო შეეშინდა. წაიღეო, ისევ დამალეო. ჩავაგე ქარქაშში, დავმალე განჯინში. შეეუუკეთე შეშა ლუმელს და დაესხედით ისევ ტახტზე. ოქროსთმიანი და-ძმის ზღაპარი



მიამბეო, — შემიხვეწა ნინო. მომადლო თავი მხარზე და მოემზადა მოსასმენად. მოფუყევი ის ოქროსთმიანი და-ძმის ზღაპარი. რომ დავამთავრე, მითხრა, — მე და შენაც ხომ ოქროს თმები გვაქვსო? — მაშა-მეთქი, მამა! დალამდა. ავანთე პატარა ლამპა. ვაჭამე ნინოს დარჩენილი ხავინი, დავალევიე წყალი, მეცა ვაჭამე ცოტა. გავუთბე საბანი ღუმელთან, დავაწვინე, დავახურე. შენც დაწვით. მე ჯერ ცოტა ხანს ვიჯდები-მეთქი. ვიჯექი დიდვით, ჩავყურებდი დანჯღრეული ღუმელიდან გამონადენ ცეცხლის შუქს და ვფიქრობდი: მე დიდი ვარ, ნავალ, მენისკვილის მივებმარები, სარეკლებს ვუყარა-ულე, დავუგვი, გავეგზავნები, საცა მეტყვის, და ერთ ჯამ ხიბლს ყოველ დღე მომცემს. გავუკეთებ იმ ხრილით ნინოს ფაფას და მე გავზრდი...

ნინო კი, საბანში გახეული, მოკუნტული, თვალმოშორებლავ მიყურებს. ვატყობ, უშინია. მეც მიუშინია ცოტა. ნავედი, მოვიტანე ხანჯალი, ამოვდე მუთაქის ქვეშ. ნინო ისევ მეუბნება, — მაგ ხანჯალისა უფრო მეშინიაო. მე ვუცინი, — მაგ ხანჯალმა უნდა გვიყარაულოს-მეთქი. მაშინ შენც დანქეო. ჩავუწნდი ღუმელთან, გავახვიე ნაცარში ღველფი, ჩავაქრე ლამპა და დაწვექი. მომადლო თავი გულთან, ჩამიყო თმაში ხელი, მიფაჩუნა, მიფაჩუნა და დაიძინა. მეც დამეძინა.

რომ გამეღვიძა, გათენებული იყო. ქარი აღარ ქროდა, თოვლი დედო თხლად. ციოდა, ციოდა. ისე ავდექი, ნინოს არ ვაღვიძებოდა. ჩავიცვი, გავქექე ღველფი, დავაწყე წკირები, ავანთე ცეცხლი. გაეღვიძა ნინოსაც და შემომღიმა. რა კარგად მეძინა, რა კარგი სიზმრები ვნახეო. — რა ნახე-მეთქი. — სულ ყვავილებში დავრბოდი, დამდევენენ თამაშით ბატკნებიო. ვუშველე ნაცამი. არ უნდოდა, მაგრამ მაინც გარეთ გავიყვანე და იქ დავაბანინე პირი. ცოტა ხაფინი ისევა გვექონდა, ცოტაც წყალი დავასხი, გავათბე და ისა ვაჭამეო. მერე კაკლებიც მოვინახე, დავამტვრიე, ლეზნები ღუმელზე გავხუხე და ისინიც ვაჭამე ნინოს. გვექონდა ვაშლი და ჩირიც. ნინო იძახდა, რა კარგაო. თან კარგი იყო ესე, ჩვენ ორს მარტოობა, თან მაინც მეკითხებოდა, — დარო როდის მოვაო. შემოიღო კარი, დაროს მავივრად შემოვიდა კარიაულების ბებერი, პატარა, მობუხული. ნინსაფრის ქვეშიდან გამოიღო და მაგიდაზე დადგა პატარა ჯამი, ზედ გადატყვილი პური ჰქონდა დაფარებული. ჯამში ხინჩი იყო. ეს ხინჩი ჩამეთ, შვილებოო. თუ მოგწყინოთ, ჩვევთან გადმოდიოთ. შეშა გაქეთო? შეშა გვექონდა, დედაჩემის დამარხვანე მოგვიტანა



უბანმა. დაჭრა უნდოდა, მაგრამ დავჭერიდი. ნაღდა კარიაულების ბებერი. ხინჩიც ვაჭამე, პურიც. მერე გარეთ გავედი, ცული ავიღე და შეშის დაჭრა დავიწყე, ნინოც გარეთ იყო და მიყურებდა. სციოდა, კანკალებდა, შინ მაინც არ შედიოდა. ვინვალე, ვინვალე და რამდენიმე ნაჭერი ძლივს გადავღვიჯნე. მოვიდა მესტვირიანთ მისა, ეგ მაშინ უკვე დიდი ბიჭი, საყდრის წინ აჭიდავებდნენ ხოლმე, წამომისვა ხუმრობით თავში ხელი, გამომართვა ცული და იმდენი შეშა დაგვიჭრა ხელათ, ერთ კვირას გვეყოფოდა. ნაგვიყვანა თავიანთსა, ვიყავით იქ თბილად. ნინო და იმათი გოგო თამაშობდნენ. მაგრამ მალე ისევ ჩვენი შინა მოგვიტანა და წამოვედით. გვენთო ცეცხლი და გავიყურებოდით გარეთ.

მოვიდა დაროც. დაგვიფოფინებდა და ცრემლი ჩამოსდიოდა. მე ვუთხარი, — ნუ სტირი, დაო, არ დავინახო, რომ იტირო-მეთქი. ეტყობა ისე ვუთხარი, გავლიმა და გაჩუმდა, აღარ ვიტყვებო. დაგვიგავა სახლი, გავიკეთეთა შვინდის შეჭამანდი, დაგვარიგა, კიდევ წამოუვიდა ცრემლი და თითქოს ჩემი მოერიდო, წავიდა. სალამო ხანზე ჩვენთან გადმოვიდნენ მესტივირინათ პატარა გოგო და კარიაულეობი, ძმები, ბიძინა და გიგო. მოგვითხანეს ორი დიდი, გემრიელი კუტი და ორიც თევზი, მიხას დაეჭირა ოჩნში. იყვნენ კარგა ხანს, გაგვართეს და წავიდნენ. დავრჩით ისევ მარტონი, მაგრამ უკვე გაყორალებულები. ნინოსაც კი აღარ ეშინოდა ძალიან.

მაინც იმ ღამესაც ხანჯალი ამოვიდევ მუთაქის ქვეშ. მეორე დღეს კი ბარი ავიდე, გავედი და საკარტოფილე მიწის ჩიჩქენა დავიწყე. ძნელი იყო, მიწა მაგარი იყო, მაგრამ მაინცა ვჩიჩქენდი. მამარჩემის ფარაჯაში გახვეული ნინოც იქ მედგა. ვინც კი დაშინახა, ყველა მოვიდა, — უუხ, შენს ვაჟსაცობას ვენაცვალე, ბიჭოო, ეგრეო, ეგრეო! მოვიდოდნენ, გამომართმევდნენ ბარს და მიბარავდნენ. ერთი რომ წავიდოდა, მეორე მოდიოდა. იმ დღეს ნახევარი შემოლობილი გა-

დვებარეთ. მოვიდა, მოჩაჩუნდა ისევ კარიაულეების ბებერი. ახლა ანტრია მოგვიტანა, ჭამეთო, შვილებოო. არ მოიმშოითო. დღეს, ხვალ, ესე, დღის, ხვალ და ბოლოს... აი, ჩვენც დავიზარდენით. მეც დიდი ვარ, — გაშალა პაპამ მხრები და გაიღიმა, — ნინო პაპიდაც დიდია ქიზიყში, იმას უფრო მეტი შვილები და შვილიშვილები ჰყავს.

უცებ პაპა ისევ დანალვლიანდა. აღარ არის კარიაულეების ბებერი, შვილებო, აღარც მესტივირინათ მიხას დედა, აღარც სხვები, ლუკმას რომ გვინანოლებდნენ ტანჯული ხელებით. აღარ არის ჩვენი საცოდავი დაროც. მაგრამ არ გამქრალა და არც გაქრება მათი მაღლი. მივდივარ ხოლმე ჩაფიქრებული და ასე მგონია, მივიხედავ უკან და დავინახავ პატიების ღიმილით ჩემსკენ გამოწვდილ პურს. იმ პურის დანახვა და, რაც არ უნდა აძალღებული ვიყო, ვმშვიდდები.

პაპამ კოვზის თლას თავი ანება, თვალეები გაუშტერდა. ჩვენ მივედით, მივებუნხლეთ აქეთ-იქიდან მელის ლეკვებივით.

გარეთ ისევ ქარი უბერავდა, თოვლის ფიფქები მოჰქონდა და გაჩქარებული აყრიდა ჩვენი ფანჯრის მიწებს.

აბთანდლი მგგარლიზვილი

ზამთარი

სითბო შეცვალა სიცვიემ,
აი, ზამთარც მოვიდა.
ღღე ფიფქთა თოვით ღამდება
ღამეც თენდება თოვითა.
ბუხრებმა იწყეს დღულუნი,
ღრენას უმატეს ძალღებმა.
თეთრი ქუდები მოირგეს
კრამიტინამ სახლებმა...
ვერ უმკლავდება მზე
ღრუბლებს.
დასუსტებია ისრები
და სიცვისკან ბედლოებს
დამოკლებია კისრები.



სახალდღო

ვაჟა ფშაველა

აბა; ვინა ხართ, სადა ხართ,
 გამოისუდეთ გარეთა!
 ცილაცაჲთ ახალსა წყლსა,
 იცოცსლეთ, განისარეთა!
 ძალად მოედრებო მკვლელდა,
 თქვენ სომ არ დამიბარეთა,
 სულთ და გულთ მამღვინილი
 სალაში ჩაიბარეთა.
 უბირველესი სალაში
 ივერის არეპარესა,—
 მისს სისხლსა და ხორცს—
 ქართლ-ეხეთს
 და იმერეთის მხარესა,
 ვუსურვებ დღევრძელობასა
 სამშობლოს მსეს და მთვარესა,—
 ნუგამსა გვცემს, გვათბობენ
 და გვითენებენ დამესა...
 მერე სალაში მუშათა:
 ცულის და თოსის ქენველთა,
 მწუქმსთა და ღამის მესრეთა,

მინდორში ღამის მიუველთა,
 თავის მარჯვენის ძაღლითა
 მიულის სმელეთის მრჩენელთა.
 მწიუნობაბრთ—ურის წინამძღვართ,
 ქვეშისთვის კარვის მრჩეველთა.
 ვუსურვებ, რო გაემარჯვოთ
 მშობელის ქვეშის დედათა!
 შვილთა აღზრდასე იუბონს,
 რომ შეივარსენ ერთადა;
 ღამასად შვილის აღმზრდელი
 დედა მიცუნია დმერთადა...
 და ურმათ, ჯერ დაუბუმბლაჲთა,
 ერთგულნი ჰქვანდენ დედასა—
 და არ შეუდრენენ ბოლოჲს
 ბასრის მახვილის კვეთასა,
 როცა კი მტერი მათ მშობლის
 შეურაცხოფას ჰბედაჲსა...
 დიდმცე ექსნება საზღვარი
 თქვენთ თვალთ და გულის სედასასა!...

მხატვარი მალხაზ აგონიაძე

სანახაღწეო

ლალო ასათიანი

სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები,
 ყოველ ახალწელიწადს მარად მომავონდები.
 შორი გზიდან მოსული, მამა-პაპის ჯილაგი—
 უცხოდ განათებული პატარა ჩიჩილაკი.
 უცხოდ განათებული, სხვაზე არგასაცვალი:
 მწვანე სუროს ფოთოლი... კურკანტელას მარცვალი...
 უზარმაზარ ოლაში მუხის ცეცხლი გუგუნებს,
 ბავშვი გაოცებული მხოლოდ შენ შემოგყურებს.
 დგახარ დაშფეხებული ქამარ-ხანჯალ-ყაწიმით,
 როგორც თეთრჩოხიანი იმერელი ყმაწვილი.
 ფოჩიანი კამფეტოც ზედ გასხია მასრებად,
 ალბათ, ცაში თუ მოხდა შენი გალამაზება!
 უზარმაზარ ოლაში მუხის ცეცხლი ჩახახებს,
 ძველი „მრავალყამიერ“ ადებს ყველა გასაღებს.
 მე ხან პაპის წვერს ვუშვებ, ხან შენ გიმშვებ—ჩიჩილაკს,
 და ვიღვრები ბინულის ნაკადივით სიცილად.
 სულაც ვერ გამოგია, რა მახარებს, რას ველი...
 ასე თვალგაურყვნელი, სიხარულით თვალსველი.
 მხოლოდ შენ შემოგტკეპრი, შენი შუქის მჯერა მე,
 შორი გზიდან მოსულო, ვარსკვლავეთის მცენარევე!
 სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები,
 ყოველ ახალწელიწადს მარად მომავონდები!

მხატვარი ვია ლაშაური

ჩიქა

იანვარი

							1
2	3	4	5	6	7	8	
9	10	11	12	13	14	15	
16	17	18	19	20	21	22	
23	24	25	26	27	28	29	
30	31						

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

თეატრალი



6	7	8	9	10	11	12			
13	14	15	16	17	18	19			
20	21	22	23	24	25	26			
27	28	29							

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

მარტი



5	6	7	8	9	10	11			
12	13	14	15	16	17	18			
19	20	21	22	23	24	25			
26	27	28	29	30	31				

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

აპრილი



2	3	4	5	6	7	8			
9	10	11	12	13	14	15			
16	17	18	19	20	21	22			
23	24	25	26	27	28	29			

მაისი

1984

7	8	9	10	11	12	13			
14	15	16	17	18	19	20			
21	22	23	24	25	26	27			
28	29	30	31						

ივნისი



4	5	6	7	8	9	10			
11	12	13	14	15	16	17			
18	19	20	21	22	23	24			
25	26	27	28	29	30				

ივლისი



2	3	4	5	6	7	8			
9	10	11	12	13	14	15			
16	17	18	19	20	21	22			
23	24	25	26	27	28	29			
30	31								

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

აგვისტო



6	7	8	9	10	11	12			
13	14	15	16	17	18	19			
20	21	22	23	24	25	26			
27	28	29	30	31					

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

სექტემბერი



3	4	5	6	7	8	9			
10	11	12	13	14	15	16			
17	18	19	20	21	22	23			
24	25	26	27	28	29	30			

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

ოქტომბერი



8	9	10	11	12	13	14			
15	16	17	18	19	20	21			
22	23	24	25	26	27	28			
29	30	31							

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

ნოემბერი



5	6	7	8	9	10	11			
12	13	14	15	16	17	18			
19	20	21	22	23	24	25			
26	27	28	29	30					

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

დეკემბერი



3	4	5	6	7	8	9			
10	11	12	13	14	15	16			
17	18	19	20	21	22	23			
24	25	26	27	28	29	30			
31									

ორ. სპ. ოთ. ხტ. პრ. შპ. კვ.

კიტრი, ნესვი და საზამთრო

ზ ლ ა პ რ ე ბ ი

ერთ ბაღრაში კიტრი, ნესვი და საზამთრო ეთესა. კიტრი მიწიდან ამოსვლისთანავე ღობე-ყორეს მოედო, ხეებზეც კი დააპირა გასვლა, და მოჰყვა თავის ქებას:

— მე ვარ, რაც ვარ, ჩემისთანა ამ არემარეზე არაფერიაო. შემხედეთ სად ავედი, რამ-სიმაღლე ვარ, აქედან ქვევით რომ ვიყურები, ყველა ბალახებად მეჩვენებაო.

ნესვსა და საზამთროს ერთმანეთისა შერცხვით: ბალახი რომ ბალახია, ზევიდან არც იმას უნდა დახედო.

— ახლა ჩემი ნაყოფი ნახეთ, — ენას არ აჩერებს კიტრი. — ახლავე იჭმება. სხვისი ნახეთ, თუ პირში ჩაიშვებაო.

ნესვსა და საზამთროს რალა ეთქმოდათ, ლორთქო კიტრი მართლაც არ არის ურიგო — ვერ გამოიგია, ამ ბალახბულახს რატომ თესავენ, რა საჭიროა? — კიტრმა გადაჭამა ყველას თავი, არავის კიტრად არ აგდებს.

დრო კი გადის. მზე აჭერს და აჭერს. პირში წყალჩაგუბებული ნესვისა და საზამთ-



როს ნაყოფი იზრდება და იზრდება, ბურთის ტოლები გახდნენ. გადმოიხედა ზევიდან კიტრმა, არ ეჭაჰსნიკა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტება:

— გაიზარდნენ, მაგრამ რად გინდა... რომც დამწიფდნენ, თუ მაგათი ნაყოფი რამედ ივარგებს, ჩემი რალა იქნება, როცა თავიდანვე ასეთი გემრიელიაო...

მიწას ჩაქიდებული ნესვი და საზამთრო კი მუყათად შლიდნენ მკლავებს, ახალ და ახალ ფესვებს იდგამდნენ, რომ მიწისა და მზისაგან მეტი სიტკობი და შუქარი დაეგროვიინათ.

ბოლოს დამწიფდა ნესვი, გაჭრეს — გაიცინა. დამწიფდა საზამთრო — გაჭრეს და იმანაც გაიცინა! ორივემ სულ თაფლი და ბადაგი გადმოღვარა პირიდან.

დამწიფდა კიტრი და თქვენი მტერია, იმას პირი არავინ დააკარა. მაშინ იყო, რომ ნესვმა ხმადაბლა უთხრა საზამთროს: იცინის ის, ვინც ბოლოს იციინსო.

საზამთრომ კი ნესვს გადაუჩურჩულა: თავის ქება კიტრად ღირსო...



ძროხა და ხბო

იყო ერთი კარგი მენველი ძროხა და ჰყავდა ხბო. ამბობდნენ: კოჭებზე ეტყობა, კარგი სახარე მოზვერი დადგებაო.



თავაულებლად ძოვდა და რძეს პატრონსაც აძლევდა, შვილსაც არჩენდა. ხბო გაძლებოდა, აიპრიხავდა კუდს და ებოში დაკუნტრუშებდა. ბალახს პირს არ აკარებდა. დედა ეჩიჩინებოდა:

— იბალახე, შვილო, იბალახე, შენი ხელით ლუქმის შოვნას მიეჩვიეო.

— დედიკო, შენ რა, ჩემთვის რძე გენანებო?

— რას ამბობ, მე როგორ მენანება! — თვალეზი დაუსევდიანდებოდა ძროხას, — მაგრამ პატრონი მნველის — ყველი და ხაჭაპური უყვარს, მალე ცურში წვეთს არ შემარჩენს, და მაშინ რაღა გეშველებო.

— დედის რძე შვილისაა, როგორ გაბედავს, სულ აღარ დამიტოვოსო. არადა, რაც დრო გადიოდა, ნაკლებ რძეს უტოვებდნენ. გახდა ხბო, დამტყუვდა, მაგრამ ბალახს არა და არ წაეკარა:



მხატვარი სოფიო კინუზაშვილი

— მშვიერი კუნტრუში მირჩვენია მთელი დღე თავაულებლივ მინდვრის ძოვასო.

ძროხა, როცა წველიდნენ, მუცელს აზნიქავდა, ნელში მოიკაკებოდა და პატრონს რძეს ჰპარავდა, რომ შვილისათვის სული ჩაებრუნებინა.

ერთ ავად მოსაგონარ დღეს ის მთლად გაშრა. ძროხა, კარგი მენველიც რომ იყოს, ბოლოს და ბოლოს გაშრება, აბა, რა მოუვა.

იბლავლა მშვიერ-მწყურვალმა მოზვერმა. მაგრამ წამხდარ საქმეს ბლავილი და ტირილი უშველის? ისე გაუჭირდა, მეზობლის თითხობიანი ძროხასაც კი მიადგა, მაგრამ ურჩინეს და გამოავდეს — ძროხა თავისი ხბოსთვისაა დედა, თორემ სხვისთვის დედინაცვლობასაც არ ინდომებს. ბოლოს ისიც კი იკადრა: უქნადან მივეპარები, იქნებ ვერ დამინახოს და თავისი უშობელი ვეგონო, მაგრამ ამჯერად რძის მაგიერ წიხლი იშოვა.

არაფერი რომ არ გამოუვიდა, ვითომ ბალახის წიხვნა ისწავლა, მაგრამ ისე მტლე გაიზარდა, ხარად არ ივარგა.

არადა, დაბადებით კარგი სახარე მოზვერი დაიბადა.

ხუთა ბარულავა

ჩონღურს უკრავს ნანი,
 მღერის თინათინი:
 ანი-ბანი-განი,
 ღონი-ფნი-ვინი...

მღერის თინათინი,
 იმეორებს ნანი:
 ზენი-თანინი-ინი,
 კანი-ლასი-მანი...

აბ

ბა

ბანს აძლევენ მტკვარი,
 რიონი და ქსანი:
 ნარი-ონი-პარი,
 ჟანი-რაე-სანი...

ნაზი, თბილი, წყნარი
 თრთის ყოველი ლარი:
 ტარი-უნი-ფარი,
 ქანი-ღანი-ყარი...

გა

გა

ბა

ბა

ბა

ბა

ბა

ბა

არ ჩერდება ნანი,
 ვით შიისის ქარი:
 შინი-ჩინი-ცანი,
 ძილი-წილი-ქარი...

როცა გასჭრის ჰაერს:
 ხანი-ჯანი-ჰაე!—
 იწკრიალებს უცებ
 დედაენის ზარი
 და იღება მშვეილად
 ღიღი ხვალის კარი.
 ანი-ბანი-განი.

მხატვარი ბესო ხილაფელი



ტრტულის მეჩვიდმეტე საუკუნის დიდი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის შვილს ვერქვა. ბიჭს ღედა რომ მოუკვდა, ერთი წლისა იყო. იგი ღვირნაცვადმა ვაზარდა. ტრტულის ღვირნაცვადს ეზმარეზოდა ღის—კორნელიას მოვლაში, სარეცხის რეცხვაში, დაღიოდა ბაზარში... მამა ამავლობდა შვილით, რადგან ტრტულის ნატრფი, ზრდილი, სათუთი და ეამოსწრებული ბიჭი იყო. იგი კარგად უკარგდა ბარბითზე და ბავშვობიდან თვადს აფეხებდა გადაჭიმულ ტიღოსთან მღვამ მამას, რომელიც თავდავიწყობით ხატავდა.

კონსტანტინე


რემბრანდტს ტრტულის მრავალჯერ დაუხატავს.
განსაკუთრებით ცნობილია შვიდი წლის ტრტულის პორტრეტი. პორტრეტიდან ჩვენ გვიმხერს გულუბრყვილი და მზიარული ბიჭი. მას მდიდრული ტანისამოსი აცვია და უფლისწულს ჰგავს. პორტრეტზე „ტრტულის გაკვეთილს სწავლობს“ იგი უკვე თოხმეტი წლისაა და გულუბრყვილობასთან ერთად უკვე სერიოზულიობაც ეტყობა, ხოლო მესამე ცნობილ პორტრეტზე 16 წლის ტრტული განათებულია ოქროსფერი თმის კულუღებიტა და იმ ოცნების შუქით, რომ ღლიც წიგნის კითხვისას, ყოველ ბავშვს დასთამაშებს სახებზე.

საახალწლო

ჩემი სმა მთელი მსოფლიოს
 გულის გულამდე აღწევს,—
 მარშან თუ ექვსის ვიევი,
 შვიდის ვიქნები ამ წელს.
 ცოდან მზე შუქად ჩამოდის,
 სიო ვახის ლერწმს აწწევს,—
 მარშან სულ ერთ ლექსს ვსწავლობდი,
 ათ ლექსს ვისწავლი ამ წელს.
 თქვენთვის ვეღურტულებ ჩიტავით,
 რით გაგახანოთ, რითი?—
 მარშან ასამდე ვითვლიდი,
 წელს ათანამდე ვითვლი!

კოლოფი

კოლოფში რომ კოლოფია
 იმ კოლოფში კოლოფი ღვეს,
 კოლოფში რომ კოლოფი ღვეს,
 ღვეს კოლოფი იმ კოლოფშიც.
 აი, სწორედ იმ კოლოფში
 კოლოფში რომ კოლოფი ღვეს,
 კოლოფია და კოლოფში
 კოლოფია მეინი ეიდგ...
 გაბოცახან ან ბეგონთ,
 თაფი ან ჩახს, ბოლო კია,
 ანც ვითეული კამბოსტოს,
 ანც წითელი ბოლოკია,
 კოლოფში რომ კოლოფი ღვეს,
 კოლოფში რომ კოლოფია.





მღღარე წვალში სოსისი
 მოისარშება ჩქარა,
 მღოვე ცოცხა ხანს მთიცივის,
 იღკეს თავისთვის წუნარად.
 მივეიროს, დემერთმანი, სუფთასე
 მღოვეს რომ ვერა სცნობს ზოგი,—
 ქორმა სოსისის მაგიერად
 ნამცხვარს წაუსვა მღოვეი.
 ძველს ფელაძეში ვგონა
 და დიდი კოჭხით თქველუდა,—
 ჰირი ბეწვა, დაიწყო
 მურა მალღივით ვეფა.
 ითბინა, სრამში ჩავარდა,
 ვურ ამოეგან ტროსით...
 მოისარშება სოსისი
 და მღოვეს წაუსვა სოსისს.

ამონალიკა

ნადირობის ტრფიალი ვარ,
 ტეუში წასვლას ვაპირებ,—
 ამ სადამოს მაძებებს და
 შელის ნურს მოვიზადირებ.
 არ დავინდობ სოხობს და
 არ გაგუშვებ ფარშევანგს,—
 სურვილს თუ არ ვაინსრულებ,
 ისე ტეუში რად შევალ?!
 იქნებ მითსრათ,—ეს რა გვესმის,
 ან რა ღანაზრეია?!—
 გოსოვთ, ნუ დელავთ, ჩემი თოფი
 ფოტოანაზრეია!



17.71

ბარათის ნაბ. სავ. სარ.
 მოლო რესპუბლიკა

მოგზაართავთ

მზობლებს,
მასწავლებლებს,
პიონერხელმძღვანელებს,
საბავშვო ბაღის აღმზრდელებს,
უპირველესად კი თქვენ,
ჩვენი პატარა მკითხველებო!

ვისაც „დილა“ უყვარს, ვისაც უნდა უფრო საინტერესო, მიმზიდველი, შინაარსიანი და ლამაზად გაფორმებული იხილოს ჩვენი ჟურნალი, გთხოვთ, ნუ დაიხარებთ, კიდევ ერთხელ გადაავლოთ თვალი „დილის“ შარშანდელ ნომრებს და მოგაწეროთ პასუხი ამ შეკითხვებზე:

1. რამდენი წლისა არის მკითხველი, რომელსაც „დილა“ აქვს გამოწერილი?

2. ჩამოთვალეთ თქვენი აზრით 1983 წელს დაბეჭდილი ყველაზე საინტერესო მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, ნარკვევები და სხვა.

3. მოგწონთ თუ არა „დილის“ გაფორმება, რომელი მხატვრის ნახატები უფრო გიზიდავთ?

4. „დილაში“ მრავალი მუდმივი განყოფილებაა: „ჩემო სამშობლო მხარეო“, „რა ხელომ ააგო“, „შუქურვარსკვლავი“, „დაუფიწყარი“, „დილის სკივრი“, „ცისარტყელა“, „მფრინავი ხალიჩა“, „მობურთაღსა მოვდანი“, „ხითხითელა“, „კერკეტი კაკლები“, „გზაზე მიდის ერთი ბავშვი“, „ბუნების კარი“. რომელი უფრო მოგწონთ? რაიმე ახალ რუბრიკას ხომ არ გვიკარნახებთ?

5. თვის რომელ რიცხვებში დაბულობთ „დილას“.

წერილები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14. „დილის“ რედაქცია.

თქვენი პასუხები დიდად შეუწყობს ხელს რედაქციას მუშაობაში. წინასწარ გიხდით მადლობას.



პირველი ხელმოწერა

ვესუმი

პანაშენი № 10-ში დაბეჭდილ
ამოცანაზე


ძმები ვერ ერთ ვაშლს
ორად გაურიან და მიირთ-
მევენ, შემდეგ დანარჩენ 9
ვაშლს გაინაწილებენ: უფ-
როსი ხუთს აიღებს, უმც-
როსი კი — ოთხს.

პანაშენი

იქნებ ჯადოქრობა,
ან სიზმარი თუ არი:
წუხელ ღამით მეწევა
შცხალური სტუმარი.

მითხრა: — აჰა, იგემე
ხიდი, ჩურჩხელებო,
ერთი წედი მამყოფე,
მერე გაგმელებო.

ნოზამან მარინია



პირში ჩიბუხგარირი,
დგომით როდი იღვებს,
ყინვა უფრო ახარებს,
მზეზე ცრემლად იღვრება.

შოთა ამირანაშვილი



პანაშენები ძველ საცმად-
ვიღო ჟურნალ „ნობათში“ და-
ბეჭდილ გამოცანებსა და თავ-
სატყუებზე („ილია“ № 12 —
„დაუვიწყარი“).

1. ცაიცი და დაუა.
2. დასვედებო.
3. ბაღის თვლებში წაი-
კითხება სიტყვები: ანწი,
ენა, ადი.

საქართველოს
ალექს. ცხ-ის
და ვ. ი. ლენინის
სახელმწიფოს
კომუნისტა
ორგანიზაციის
რედაქციის
საბჭოს
შრომალე
შეცდრისალაშელ-
თათვის

გამოლს
1927
წელდა

საქ. კ. ცხ-ის
გამომცემლობა

Издательство

ЦК КП Грузии

ყდაე ნახატი ნანა ჰურდულიანი

მთავარი რედაქტორი მხმარ ნიშნაძე

სარედაქციო კოლეგია: ილუარდ აგოშაძე, ილია ანთოვაძე, კუკუჩი გოგიაშვილი, სოლომონ
დამარაშვილი, ლილა ვაძა, მანანა კოგანიძე, თინათი ხალაური (პ. მღვიმე), გელა ლოსა-
ზარიძე, მათაბა მამდოშვილი, ჯუხან ნალიაძე. პირები გრინდოშვილი (სახმატრო რედაქტორი),
მანანა ხაჩიძე, გივი გვინიანიძე.

ტიქნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი


მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის —
93-41-30, 93-98-15; პ/მ მღვიმის — 93-10-32, 93-98-18; სახმ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ.
93-98-19; 93-98-17.

გაღვიცა ასწეობად 11.XI. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.XII. 83 წ., ქალაღის ზომა 60x90/16
ფიზ. ნახ. ფურც. 2,5, ტირაჟი 165000; შეჯ. № 2601. «Дила» №1 журнал для младшеклассников на
грузинском языке. Главный редактор Э. Нижарадзе. Тбилиси, Ленинна, 14 Ц 20 к.

6 2017 / 30

შანი 20 აპა.

ინდექსი 76055
შანი 2017-18
შენაწიურება



„ქიქის“ სამაგროვნო ქაჯეჯი

- „ზამთარი თუხათუმი“ მანია ბაბუღალიძე
- „ჯამბაჯეზი“ ნელი ოღაბაჯეზა
- „ნატურმორტი“ მანა ბელაჯვილი
- „ნაძვის ხის ზეიმი“ თანა ბუმბურიძე

